პრაქტიკის დოკუმენტი

განმასხვავებლობა – აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვების შემცველი გამოსახულებითი ნიშნები

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის შენიშვნა

წინამდებარე პრაქტიკის დოკუმენტი მომზადებულია „საერთო კომუნიკაციის“ შესაბამისად, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ქსელის (EUIPN) მიერ შემუშავებული „სასაქონლო ნიშნების საერთო პრაქტიკის“ საფუძველზე და მიზნად ისახავს სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრას ექსპერტიზის პროცედურასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განხორციელდეს აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვების შემცველი გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზა, რომლებიც აკმაყოფილებენ უარის თქმის აბსოლუტურ საფუძვლებს გამოსახულებითი ელემენტის განმასხვავებელუნარიანობის გამო. პრაქტიკის დოკუმენტი მოერგო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავისებურებებს და მასში გათვალისწინებულია საქპატენტის ხარისხის სტანდარტები ელექტრონული და მატერიალური ფორმით მიღებული განაცხადებისთვის.

წინამდებარე პრაქტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია ეროვნულ დონეზე და საჯაროდ ხელმი-საწვდომია ექსპერტებისა და მოსარგებლეებისთვის, გამჭვირვალობის, კანონთან შესაბამისობისა და პროგნოზირების შემდგომი ამაღლების მიზნით.

1. საფუძველი

წინამდებარე პრაქტიკა შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც წმინდა აღწერილობითი/არაგანმას-ხვავებელუნარიანი სიტყვების შემცველი გამოსახულებითი ნიშნები აკმაყოფილებს აბსოლუტური საფუძვლების ექსპერტიზას, გამოსახულებითი ელემენტის განმასხვავებელუნარიანობის გამო.

ეს პრაქტიკა საჯაროდ ხელმისაწვდომია წინამდებარე პრაქტიკის დოკუმენტის საფუძველზე, ექსპერტების და მოსარგებლეების სასარგებლოდ, გამჭვირვალობის, კანონთან შესაბამისობის და პროგნოზირების შემდგომი გაზრდის მიზნით.

ქვემოთ მოცემული საკითხები არ მოიაზრება წინამდებარე დოკუმენტში:

- ენობრივი საკითხები: აღნიშნული პრაქტიკის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ სიტყვიერი ელემენტები არის აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი;
- დისკლამაციების ინტერპრეტაცია: პრაქტიკა გავლენას არ ახდენს ინტელექტუალური საკუთრების უწყებების მიერ დისკლამაციების მიღებაზე ან ინტერპრეტაციაზე;
- სასაქონლო ნიშნის გამოყენება (შეძენილი განმასხვავებლობის და ბაზარზე ნიშნის ფაქტობრივი გამოყენების ჩათვლით).

2. პრაქტიკა

ქვემოთ მოცემულ ტექსტში შეჯამებულია პრაქტიკის დოკუმენტის პრინციპების ძირითადი გზავნილები და დებულებები.

იმისათვის, რომ დადგინდეს, აკმაყოფილებს თუ არა ნიშანი მინიმალური განმასხვავებლობის მოთხოვნებს მასში შემავალი გამოსახულებითი ელემენტების გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი კრიტერიუმები:

** შენიშვნა: „Flavor and aroma“-ს შემცველი ნიშნები განცხადებულია 30-ე კლასის საქონლისთვის – „ყავა“; „Fresh sardine“ და „Sardines“ შემცველი ნიშნები განცხადებულია 29-ე კლასის საქონლისთვის – „სარდინები“; ნიშანი, რომელიც შეიცავს „DIY“ განცხადებულია მე-20 კლასის საქონლისთვის – „ავეჯის ასაწყობი ნაწილების კომპლექტები“; ნიშნები, რომელიც შეიცავს „Pest control service“ განცხადებულია 37-ე კლასის მომსახურებისთვის – „მავნებელთა კონტროლის სამსახური“; ხოლო „Legal advice services“ შემცველი ნიშანი განცადებულია 45-ე კლასის მომსახურებისთვის –„იურიდიული მომსახურება“.*

ნიშნის სიტყვიერ ელემენტებთან დაკავშირებით

კრიტერიუმი	**შრიფტი და ფონტი**
პრაქტიკა	• ზოგადად, აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვიერი ელემენ-ტები გამოსახული მარტივი/სტანდარტული შრიფტით, ნახატი ასოების ან ხელნაწერის შრიფტით – ფონტის ეფექტებით (გამსხვილება, კურსივი) – რეგის-ტრაციას არ ექვემდებარება. **არაგანმასხვავებელუნარიანი ნიშნების მაგალითები:** Flavour and aroma Fresh Sardine Flavour and aroma Fresh Sardine Flavour and aroma FrEsh SaRdine
	• იმ შემთხვევებში, როდესაც შრიფტი ასოების გაფორმების სახით, გრაფიკული დიზაინის ელემენტებს შეიცავს, ამ ელემენტებს საკმარისი გავლენა უნდა ჰქონდეთ მთლიან სასაქონლო ნიშანზე, რათა ისინი გამორჩეულად ჩაითვალოს. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია დასაშვებია, როდესაც ასეთი ელემენტები საკმარისია სიტყვიერი ელემენტის აღწერილობითი მნიშვნელობისგან მომხმა-რებლის ყურადღების გადასატანად, ან ქმნის გრძელვადიან შთაბეჭდილებას სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებით. **განმასხვავებელუნარიანი ნიშნების ნიმუშები:** flavour and aroma FLAVOUR AND AROMA DIY
კრიტერიუმი	**ფერთან კომბინაცია**
პრაქტიკა	• აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვიერი ელემენტისთვის ერთი ფერის უბრალოდ დამატება, ასოების გაფერადების ან ფონის სახით, არასაკმარისია სასაქონლო ნიშნისთვის განმასხვავებლობის შესაძენად. • ვაჭრობის სფეროში ფერების გამოყენება გავრცელებულია და წარმოშობის ნიშ-ნად არ აღიქმება. თუმცა, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ ფერთა ცალკეულმა განლაგებამ, რომელიც უჩვეულოა და შესაბამისი მომხმარებლისთვის იოლად დასამახსოვრებელი, შესაძლოა ნიშანი განმასხვავებელუნარიანად აქციოს. **არაგანმასხვავებელუნარიანი ნიშნების მაგალითები:** Flavour and aroma Flavour and aroma Flavour and aroma Flavour and aroma
კრიტერიუმი	**სასვენ ნიშნებთან და სხვა სიმბოლოებთან კომბინაცია**
პრაქტიკა	• ზოგადად, სასვენი ნიშნების ან სხვა სიმბოლოების დამატება, რაც გავრცელე-ბული პრაქტიკაა ვაჭრობის სფეროში, აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნა-რიანი სიტყვიერი ელემენტების შემცველ ნიშნებს განმასხვავებლობას არ ანიჭებს. **არაგანმასხვავებელუნარიანი ნიშნების მაგალითები:** “Flavour and aroma” FreshSardine.™

კრიტერიუმი	სიტყვიერი ელემენტების განლაგება (გვერდულად, თავდაყირა და ა.შ.)
პრაქტიკა	• ზოგადად, ის ფაქტი, რომ სიტყვიერი ელემენტი განლაგებულია ვერტიკალურ, ან თავდაყირა მდგომარეობაში, ან ერთ ან რამდენიმე ხაზზე, არ არის საკმარისი, რომ ნიშანს მიანიჭოს მინიმალური განმასხვავებლობა, რომელიც საკმარისი იქნება ნიშნის სარეგისტრაციოდ. **არაგანმასხვავებელუნარიანი ნიშნების მაგალითები:**  • თუმცა, ასეთი სიტყვიერი ელემენტების განლაგებამ შესაძლოა განმასხვავებ-ლობა შესძინოს ნიშანს, როდესაც განლაგება ისეთი ხასიათისაა, რომ საშუალო მომხმარებელი ყურადღებას უფრო განლაგების ფორმაზე ამახვილებს, ვიდრე სიტყვიერი ელემენტების აღწერილობითობაზე. **განმასხვავებელუნარიანი ნიშნების მაგალითები:**

ნიშნის გამოსახულებით ელემენტებთან დაკავშირებით

კრიტერიუმი	გეომეტრიული ფიგურების გამოყენება
პრაქტიკა	▪ აღწერილობითი ან არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვიერი ელემენტების კომბინაცია, ისეთ მარტივ გეომეტრიულ ფიგურებთან, როგორიცაა წერტილი, წრფე, მონაკვეთი, წრე, სამკუთხედი, კვადრატი, მართკუთხედი, პარალე-ლოგრამი, ხუთკუთხედი, ექვსკუთხედი, ტრაპეცია და ელიფსი არ ანიჭებს ნიშანს განმასხვაველობას განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული ფიგურები ჩარჩოს ან საზღვრის სახით არის გამოყენებული. **არაგანმასხვავებელუნარიანი ელემენტების მაგალითები:**  ▪ მეორეს მხრივ, შესაძლოა გეომეტრიულმა ფიგურებმა მიანიჭოს ნიშანს განმასხვავებლობა, როდესაც მისი გამოსახვა, კონფიგურაცია ან კომბინაცია სხვა ელემენტებთან ერთობლიობაში ქმნის საერთო განმასხვავებელუნარიან საერთო შთაბეჭდილებას. **განმასხვავებელუნარიანი ნიშნების ნიმუშები:**

კრიტერიუმი	**გამოსახულებითი ელემენტის განლაგება და პროპორცია (ზომა) სიტყვიერ ელემენტთან მიმართებით**
პრაქტიკა	▪ ზოგადად, როდესაც აღწერილობით/არანგანმასხვავებელუნარიან სიტყვიერ ელემენტს დამატებული აქვს განმასხვავებელუნარიანი გამოსახულებითი ელემენტი, ნიშანი რეგისტრირებადია იმ პირობით, თუ გამოსახულებითი ელემენტი მისი ზომის და განლაგების გათვალისწინებით ნიშანში ნათლად აღქმადია. **არაგანმასხვავებელუნარიანი ნიშნის მაგალითები:** Flavour and aroma Fresh Sardine **განმასხვავებელუნარიანი ნიშნის მაგალითი:** Flavour and aroma
კრიტერიუმი	**არის თუ არა გამოსახულებითი ელემენტი საქონლის ან/და მომსახურების გამოსახულება ან აქვს თუ არა პირდაპირი კავშირი**
პრაქტიკა	➢ გამოსახულებითი ელემენტი მიიჩნევა აღწერილობითად ან/და არაგანმასხვავებელუნარიანად როდესაც: - წარმოადგენს საქონლის და მომსახურების რეალურ გამოსახულებას. - შეიცავს საქონლის/მომსახურების სიმბოლურ/სტილიზებულ გამოსახულებას, რომელიც აღნიშნული საქონლის და მომსახურების გავრცელებული გამოსა-ხულებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. **არაგანმასხვავებელუნარიანი ნიშნების მაგალითები:** Fresh Sardine Sardines From the sea to your plate **განმასხვავებელუნარიანი ნიშნების მაგალითები:** resh Sardine Fresh Sardine ➢ გამოსახულებითი ელემენტი, რომელიც არ გამოსახავს საქონელს ან მომსახურებას, მაგრამ აქვს პირდაპირი კავშირი ამგვარ საქონელთან ან მომსახურებასთან, სასაქონლო ნიშანს განმასხვავებლობას ვერ ანიჭებს, თუ იგი მნიშვნელოვნად არ იქნება სტილიზებული. **არაგანმასხვავებელუნარიანი ნიშნის მაგალითი:** PEST CONTROL SERVICES **განმასხვავებელუნარიანი ნიშნის მაგალითი:** PEST CONTROL SERVICES

კრიტერიუმი	**გამოიყენება თუ არა გამოსახულებითი ელემენტი ვაჭრობაში ჩვეულებრივ განცხადებულ საქონელთან ან/და მომსახურებასთან მიმართებაში**
პრაქტიკა	▪ ზოგადად, გამოსახულებითი ელემენტები, რომლებიც ვაჭრობაში საქონლისა და მომსახურებისთვის ჩვეულებრივ გამოიყენება, არ ანიჭებს ნიშანს განმასხვავებლობას მთლიანობაში. **არაგანმასხვავებელუნარიანი ნიშნების მაგალითები.**

ნიშნის სიტყვიერ და გამოსახულებით ელემენტებთან დაკავშირებით

კრიტერიუმი	**როგორ ახდენს კრიტერიუმების კომბინაცია გავლენას განმასხვავებლობაზე**
პრაქტიკა	▪ ზოგადად, გამოსახულებითი და სიტყვიერი ელემენტების კომბინაცია, რომელიც ცალკე აღებული არის არაგანმასხვავებელუნარიანი, არ ანიჭებს ნიშანს განმასხვავებლობას. ▪ მიუხედავად ამისა, ასეთი ელემენტების კომბინაცია მთლიანობაში შეიძლება აღქმული იქნას, როგორც [საქონლის] წარმოშობის ნიშანი, ნიშანში მათი გამოსახვის და შემადგენლობის გამო. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც კომბინაციის შედეგად იქმნება ისეთი საერთო შთაბეჭდილება, რომელიც არსებითად არის დაშორებული სიტყვიერი ელემენტის აღწერილობასთან/არაგანმასხვავებელუნარიანობასთან. **მაგალითები:** იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებადი იყოს, მას უნდა ჰქონდეს მინიმალური განმასხვავებლობა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ნიშნები გრადაციის მიხედვით. მარცხნიდან მარჯვნივ, ნიშნები შეიცავს ელემენტებს, რომელთა გავლენა ნიშნების განმასხვავებლობაზე თანდათან იზრდება, რის შედეგადაც მიიღება ნიშნები, რომლებიც ან მთლიანობაში არაგანმასხვავებელუნარიანია (წითელი სვეტი) ან განმასხვავებელუნარიანი (მწვანე სვეტი). დაცვის ფარგლები შეზღუდულია ნიშნის საერთო შემადგენლობით.



პრაქტიკა

განმასხვავებლობა – აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვების შემცველი გამოსახულებითი ნიშნები

სარჩევი

1. შესავალი 1

2. პრაქტიკის ფარგლები 1

3. პრაქტიკა 2

3.1 აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვები 2

A. სასაქონლო ნიშანში არსებულ სიტყვიერ ელემენტებთან დაკავშირებით. . 4

A.1. შრიფტი და ფონტი. 4

A.2. 7

A.3. ფერთან კომბინაცია 7

A.4. სასვენ ნიშნებთან და სხვა სიმბოლოებთან კომბინაცია 8

A.5. სიტყვიერი ელემენტების განლაგება (გვერდულად, თავდაყირა და ა.შ.) ... 8

B. ნიშნის გამოსახულებით ელემენტებთან დაკავშირებით 9

B.1. გეომეტრიული ფიგურების გამოყენება 9

B.2. გამოსახულებითი ელემენტის განლაგება და პროპორცია (ზომა) სიტყვიერ ელემენტთან მიმართებით 11

B.3. გამოსახულებითი ელემენტი არის საქონლის ან/და მომსახურების გამოსახულება ან მასთან პირდაპირი კავშირი აქვს. 11

B.4. გამოსახულებითი ელემენტი ვაჭრობაში ჩვეულებრივ გამოიყენება განცხადებული საქონლისა ან/და მომსახურებისთვის 15

C. როგორ ახდენს კრიტერიუმების კომბინაცია გავლენას განმასხვავებლობაზე? 16

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისთვის, მოსარგებლეთა ასოციაციებისთვის, განმცხადებლებისთვის და წარმომადგენლებისთვის იმ პრაქტიკის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა შემთხვევაში გაივლის წმინდა აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვების შემცველი გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნები აბსოლუტური საფუძვლების ექსპერტიზას, ნიშნის გამოსახულებითი ელემენტის საკმარისი განმასხვავებლობის შემთხვევაში.

მოცემული დოკუმენტი ფართოდ და მარტივად ხელმისაწვდომი იქნება და მასში ნათლად და ამომწურავად განიმარტება ის პრინციპები, რომელსაც ახალი პრაქტიკა ეფუძნება.

ეს პრინციპები ზოგადად იქნება გამოყენებული და მიზნად ისახავს შემთხვევათა უმრავლესობის დაფარვას. განმასხვავებლობა უნდა შეფასდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო საერთო პრინციპები უნდა წარმოადგენდეს სახელმძღვანელოს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სხვადასხვა უწყებებმა ერთი და იმავე საფუძვლებზე მსგავსი, პროგნოზირებადი გადაწყვეტილება მიიღონ.

2. პრაქტიკის ფარგლები

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი მის მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას გარკვეულ საქონელსა და მომსახურებაზე, მისი ნებართვის გარეშე, მესამე პირებს აუკრძალოს მსგავსი ან იდენტური ნიშნის გამოყენება.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესაძლებლობა შეიძლება შეიზღუდოს საჯარო ინტერესებთან დაკავშირებული მიზეზების გამო.“

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და “დ“ ქვეპუნქტების თანახმად, არაგანმასხვავებელუნარიანი და აღწერილობითი სასაქონლო ნიშნები, რომლებიც შედგება მხოლოდ სიმბოლოებისგან, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს ვაჭრობაში საქონლის ან მომსახურების სახეობის, ხარისხის, თვისებების, დანიშნულების, ღირებულების, გეოგრაფიული წარმოშობის, ან საქონლის სხვა მახასიათებლებისგან, არ უნდა დარეგისტრირდეს, ან, რეგისტრაციის შემთხვევაში, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ზემოაღნიშნული კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

რეგისტრაციაზე უარის თქმის სხვადასხვა საფუძველი განმარტებული უნდა იქნას იმ საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, რომელსაც თითოეული მათგანი ეფუძნება.

საჯარო ინტერესებში შედის ისეთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა, რომელსაც არ შესწევს უნარი განასხვავოს ერთი საწარმოს განცხადებული საქონელი და მომსახურება სხვა საწარმოს საქონლისა და მომსახურებისგან.

პრაქტიკის **ფარგლები** განისაზღვრება შემდეგნაირად:

„წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, დაადგინოს პრაქტიკა, თუ რა შემთხვევებში აკმაყოფილებს ***წმინდა აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვების*** *შემცველი* ***გამოსახულებითი***

სასაქონლო ნიშანი აბსოლუტური საფუძვლების *ექსპერტიზის მოთხოვნებს იმის გამო, რომ გამოსახულებით ელემენტებს აქვთ საკმარისი განმასხვავებლობა.“*

წინამდებარე პრაქტიკის ფარგლებს არ მოიცავს შემდეგი საკითხები:

- ენასთან დაკავშირებული საკითხები: პრაქტიკის მიზნებისთვის ითვლება, რომ სიტყვიერი ელემენტები თქვენს ენაში აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანია.
- დისკლამაციების ინტერპრეტაცია.
- სასაქონლო ნიშნის გამოყენება (შეძენილი განსხვავებულობის და ნიშნის ბაზარზე გამოყენების ჩათვლით).

იმისათვის, რომ დადგინდეს, აკმაყოფილებს თუ არა ნიშანში არსებული გამოსახულებითი ელემენტები განმასხვავებლობის მინიმალურ ზღვარს, გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები:

- ნიშანში არსებულ სიტყვიერ ელემენტებთან დაკავშირებით:
  - შრიფტი და ფონტი
  - ფერთან კომბინაცია
  - სასვენ ნიშნებთან და სხვა სიმბოლოებთან კომბინაცია
  - სიტყვიერი ელემენტების განლაგება (გვერდულად, თავდაყირა და ა.შ.)
- ნიშანში არსებულ **გამოსახულებით** ელემენტებთან დაკავშირებით:
  - გეომეტრიული ფიგურების გამოყენება
  - გამოსახულებითი ელემენტის განლაგება და პროპორცია (ზომა) სიტყვიერ ელემენტთან მიმართებით
  - არის თუ არა გამოსახულებითი ელემენტი საქონლის ან/და მომსახურების გამოსახულება ან აქვს თუ არა მასთან პირდაპირი კავშირი
  - გამოიყენება თუ არა კონკრეტული გამოსახულებითი ელემენტი ვაჭრობაში საზოგადოდ შესაბამის საქონელთან/მომსახურებასთან კავშირში.
- ნიშანში სიტყვიერ და გამოსახულებით ელემენტებთან დაკავშირებით:
  - როგორ ახდენს კრიტერიუმების კომბინაცია გავლენას განმასხვავებლობაზე.

3. პრაქტიკა

3.1 აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვები

პრაქტიკის მიზნებისთვის, სასაქონლო ნიშანში არსებული სიტყვიერი ელემენტები მიიჩნევა აღწერილობითად/არაგანმასხვავებელუნარიანად, რადგან მთავარ მიზანს წარმოადგენს მიდგომის

ჩამოყალიბება იმის შესახებ, თუ რა შემთხვევებში ანიჭებს გამოსახულებითი ელემენტი ნიშანს მთლიანობაში საკმარის განმასხვავებლობას, რითაც სასაქონლო ნიშანს ანიჭებს მისი ძირითადი ფუნქციის შესრულების საშუალებას და აკმაყოფილებს აბსოლუტური საფუძვლების ექსპერტიზას. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშანს ჰქონდეს განმასხვავებლობა, ის უნდა ასრულებდეს მის ძირითად ფუნქციას, მომხმარებლებისთვის უზრუნველყოს განცხადებული საქონლისა ან/და მომსახურების წარმომავლობის იდენტიფიცირება და აღრევის შესაძლებლობის გარეშე განასხვავოს საქონელი და მომსახურება იმ საქონლისა და მომსახურებისგან, რომელსაც სხვა წარმოშობა აქვს.

სასაქონლო ნიშნის მიერ მისი **ძირითადი ფუნქციის შესრულების** უნარისგან განუყოფელია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველში არსებული საჯარო ინტერესი იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღწერილობითი ნიშნები ან აღნიშვნები, რომლებიც დაკავშირებულია განცხადებული საქონლისა და მომსახურების თვისებებთან, შეიძლება გამოიყენებოდეს ნებისმიერი მწარმოებლის მიერ, რომლებიც ვაჭრობენ აღნიშნული საქონლით ან/და მომსახურებით, იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული მხოლოდ ერთი კომპანიის მიერ ასეთი ნიშნების ან აღნიშვნების გამოყენება მათი სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის გამო.

განმასხვავებლობა უნდა შეფასდეს, პირველ რიგში, იმ საქონელსა და მომსახურებასთან მიმართებაში, რომელთა რეგისტრაციაც მოითხოვება და, ასევე, შესაბამისი მომხმარებლის აღქმასთან მიმართებაში.

მართალია, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი თითოეული უარის თქმის საფუძველი დამოუკიდებელია სხვა საფუძვლისგან და საჭიროებს ცალკეულ ექსპერტიზას, მიუხედავად ამისა არსებობს ცალსახა გადაფარვა თითოეული უარის თქმის საფუძვლის დაცვის ფარგლებს შორის.

ნიშანი, რომელიც აღწერილობითია საქონლის ან მომსახურებისთვის, ის ამის გამო არის ასევე არაგანმასხვავებელუნარიანი ამ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებაში „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის, მიუხედავად ამისა, ნიშანი შეიძლება იყოს არაგანმასხვავებელუნარიანი საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებაში, არა აღწერილობითობითობის, არამედ სხვა მიზეზის გამო.

ამდენად, აღწერილობითი სასაქონლო ნიშანი ნებისმიერ შემთხვევაში არის არაგანმასხვავებელუნარიანი, თუმცა, აღწერილობითობის გარდა არსებობს სხვა მიზეზები, რომელთა გამოც სასაქონლო ნიშანს შესაძლოა არ ჰქონდეს განმასხვავებლობა.

3.2. რა არის მინიმალური ზღვარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლების გადასალახად?

მიუხედავად წმინდა აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვების შემცველობისა, გამოსახულებითმა სასაქონლო ნიშანმა მაინც შეიძლება გაიაროს აბსოლუტური ექსპერტიზა, თუ ნიშანი დამატებით შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომელიც მას მთლიანობაში სძენს განმასხვავებლობას.

აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვიერი ელემენტების შემცველ სასაქონლო ნიშანს განმასხვავებლობას ვერ შესძენს განმასხვავებლობის არმქონე ან მინიმალური განმასხვავებლობის მქონე გამოსახულებითი ელემენტები, თუ სიტყვიერი და გამოსახულებითი ელემენტების კომბინაციას მთლიანობაში არ ექნება განმასხვავებლობა.

სასაქონლო ნიშანში არსებული გრაფიკული ელემენტები შესაძლოა არ ახდენდეს ზეგავლენას შესაბამის მომხმარებლის აღქმაზე, აღრევის შესაძლებლობის გარეშე განასხვავოს განცხადებული ნიშნის საქონელი ან მომსახურება სხვა საწარმოს საქონლისა და მომსახურებისგან. შესაბამისად, ასეთ გამოსახულებით ელემენტებს არ შესწევთ უნარი შეასრულონ სასაქონლო ნიშნის მთავარი ფუნქცია შესაბამის საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებაში მაგალითისთვის აღნიშნულ გადაწყვეტილებაში გამოსახულებითი და გრაფიკული ელემენტები იმდენად მინიმალურია, რომ ვერ ანიჭებს განცხადებულ ნიშანს ერთიანობაში განმასხვავებლობას. აღნიშნულ ელემენტებს არ აქვთ რაიმე მახასიათებელი, კერძოდ, ორიგინალურობის ან მათი კომბინაციის თვალსაზრისით, რაც განცხადებულ ნიშანს მიანიჭებდა სასაქონლო ნიშნის ძირითადი ფუნქციის შესრულების საშუალებას განცხადებულ საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებაში ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის დასადგენად, მასში არსებული გამოსახულებითი ელემენტების გამო, შეთანხმდა შემდეგი კრიტერიუმები:

A. სასაქონლო ნიშანში არსებულ სიტყვიერ ელემენტებთან დაკავშირებით.

A.1. შრიფტი და ფონტი

- ზოგადად, აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვიერი ელემენტები გამოსახული მარტივი/სტანდარტული შრიფტით, ნახატი ასოების ან ხელნაწერის შრიფტით – ფონტის ეფექტების (გამსხვილება, კურსივი) – რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

- იმ შემთხვევებში, როდესაც შრიფტი ასოების გაფორმების სახით გრაფიკული დიზაინის ელემენტებს შეიცავს, ამ ელემენტებს საკმარისი გავლენა უნდა ჰქონდეთ მთლიან ნიშანზე, რათა ისინი გამორჩეულად ჩაითვალოს. ნიშნის რეგისტრაცია დასაშვებია, როდესაც ასეთი ელემენტები საკმარისია სიტყვიერი ელემენტის აღწერილობითი მნიშვნელობისგან მომხმარებლის ყურადღების გადასატანად, ან ქმნის გრძელვადიან შთაბეჭდილებას სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებით.

მაგალითები:

არაგანმასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
საბაზისო შრიფტები, ფონტის ეფექტებით ან მის გარეშე (გამუქება, კურსივი)	Flavour and aroma **Flavour and aroma** *Flavour and aroma* Flavour and aroma Flavour and aroma FLAVOUR AND AROMA Flavour and aroma	კლასი 30: ყავა.
ფონტის მცირედი ცვლილება (ანუ გამუქებულია ერთი სიტყვა)	Flavour **and aroma** **Flavour** and aroma	კლასი 30: ყავა.
ხელნაწერი და ხელნაწერის სტილის შრიფტები	Flavour and aroma Flavour and aroma Flavour and aroma Flavour and Aroma Fresh Sardine Flavour and Aroma	კლასი 30: ყავა. კლასი 29: სარდინები. კლასი 30: ყავა.
	Fresh Sardine	კლასი 29: სარდინები
პატარა ასოები + დიდი ასოები	FreshSARDINE	კლასი 29: სარდინები
სტანდარტული შრიფტი + კურსივი	Freshsardine	კლასი 29: სარდინები

სიტყვების შიგნით ცალკეული ასოების გადიდება სიტყვიერი ელემენტის მნიშვნელობაზე გავლენას არ ახდენს	FrEsh SaRdine	კლასი 29: სარდინები
შრიფტს გარკვეული თავისებურება გააჩნია, მაგრამ სხვა მხრივ უმეტესად არ გამოირჩევა	Flavour and Aroma Fresh Sardine	კლასი 30: ყავა. კლასი 29: სარდინები.

განმასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
ხელნაწერი შრიფტი, რომელიც იმდენად სტილიზებულია, რომ არ იკითხება, ანუ აღწერილობითი მნიშვნელობა არ ამოიკითხება.	flavour and aroma	კლასი 30: ყავა.
საკმარისად სტილიზებული შრიფტი სტილიზაციის ინდივიდუალური ხასიათის სხვადასხვანაირად განმარტების საშუალებით. ** DIY" ნიშნავს „გააკეთე შენით" და მიიჩნევა არაგანმასხვავებელუნარიან სიტყვიერ ელემენტად საქონელთან მიმართებით, რომლის მიმართაც მოითხოვება დაცვა.*	DIY	კლასი 20: ავეჯის ასაწყობი ნაწილების კომპლექტები.
გრაფიკულად შექმნილი შრიფტი, ზოგიერთი ასო ძნელად გასარჩევია.	FLAVOUR AND AROMA	კლასი 30: ყავა.

A.2. ფერთან კომბინაცია

- ფერებით შესაძლებელია იდეების გარკვეული ასოციაციების გადმოცემა, ან გარკვეული გრძნობების გამოწვევა, განსაკუთებით იმის გამო, რომ ფერები ფართოდ და საყოველთაოდ გამოიყენება მათი მიმზიდველობის გამო იმისათვის, რომ რაიმე კონკრეტული მესიჯის გარეშე განხორციელდეს საქონლის ან მომსახურების რეკლამირება და ბაზარზე შეთავაზება. თუმცა, ფერს თავისთავად აქვს მცირე უნარი გადასცეს რაიმე სპეციფიკური ინფორმაცია“.
- გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ფერებს თავიდანვე არ გააჩნიათ განმასხვავებლობა.
- აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვიერი ელემენტისთვის ერთი ფერის უბრალოდ დამატება, ასოების გაფერადების ან ფონის სახით, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ნიშანს შესძინოს განმასხვავებლობა.
- ვაჭრობის სფეროში ფერების გამოყენება გავრცელებულია და წარმოშობის ნიშნად არ აღიქმება. თუმცა, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ ფერთა ცალკეულმა განლაგებამ, რომელიც უჩვეულოა და შესაბამისი მომხმარებლისთვის იოლად დასამახსოვრებელი, შესაძლოა ნიშანი განსხვავებულად აქციოს.

მაგალითები

არაგანმასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
მხოლოდ ერთი ფერის დამატება ჩვეულებრივი შრიფტისთვის (გაფერადებული ასოები).	Flavour and aroma	კლასი 30: ყავა.
მხოლოდ ერთი ფერის დამატება ჩვეულებრივი შრიფტისთვის (გაფერადებული ფონი).	Flavour and aroma	კლასი 30: ყავა.
	Flavour and aroma	კლასი 30: ყავა.
მხოლოდ ერთი ფერის დამატება ჩვეულებრივი შრიფტისთვის (გაფერადებული მოხაზულობა).	Flavour and arom	კლასი 30: ყავა.
მხოლოდ ერთი ფერის დამატება ჩვეულებრივი შრიფტისთვის (გარდამავალი ფერი).	FLAVOUR AND AROMA	კლასი 30: ყავა.
მოცემულ მაგალითში მრავალი სხვადასხვა ფერის გამოყენებამ შეიძლება მომხმარებლის მზერა მიიპყროს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს, რომ მომხმარებელმა განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი ან/და მომსახურება სხვა საწარმოს საქონლის ან/და მომსახურებისგან, რადგან ფერთა კონკრეტულ მიმდევრობას მომხმარებელი ვერ აღიქვამს და ვერც დაიმახსოვრებს.	Flavour and aroma	კლასი 30: ყავა.

A.3. სასვენ ნიშნებთან და სხვა სიმბოლოებთან კომბინაცია

- ზოგადად, სასვენი ნიშნების ან სხვა სიმბოლოების დამატება, რაც გავრცელებული პრაქტიკაა ვაჭრობის სფეროში, აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვიერი ელემენტების შემცველ ნიშნებს განმასხვავებლობას არ ანიჭებს.

მაგალითები

არაგანამასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
წერტილის ან სასაქონლო ნიშნის სიმბოლოს დამატება ნიშანს განმასხვავებლობას არ სძენს.	FreshSardine. ™	კლასი 29: სარდინები.
ბრჭყალების დამატება ნიშანს განმასხვავებ-ლობას არ სძენს.	**"Flavour and aroma"**	კლასი 30: ყავა.

A.4. სიტყვიერი ელემენტების განლაგება (გვერდულად, თავდაყირა და ა.შ.)

- სიტყვიერი ელემენტების განლაგებამ შესაძლოა განმასხვავებლობა შესძინოს ნიშანს იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვების განლაგებამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს მომხმა-რებლის მიერ სიტყვიერი ელემენტების მნიშვნელობის აღქმაზე. სხვაგვარად რომ ითქვას, განლაგება ისეთი ხასიათის უნდა იყოს, რომ საშუალო მომხმარებელმა ყურადღება განლაგების ფორმაზე მიაპყროს და არა სიტყვიერი ელემენტების აღწერილობითობაზე. ზოგადად, ის ფაქტი, რომ სიტყვიერი ელემენტი განლაგებულია ვერტიკალურ ან თავდაყირა მდგომარეობაში ან ერთ ან რამდენიმე ხაზზე, არ არის საკმარისი, რომ ნიშანს მიანიჭოს განმასხვავებლობის მინიმალური ხარისხი, რომელიც საკმარისი იქნება ნიშნის სარეგისტრაციოდ.

მაგალითები

არაგანმასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
ტექსტი ორ ან მეტ ხაზზე, რომელიც მარცხნიდან მარჯვნივ იკითხება.	Flavour and Aroma	კლასი 30: ყავა.
მთელი ტექსტი თავდაყირაა	Flavour and Aroma	კლასი 30: ყავა.
მთელი ტექსტი ვერტიკალურადაა	Flavour and Aroma	კლასი 30: ყავა.

განმასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
ტექსტი მოცემულია ორიგინალური ფორმით. კონკრეტულ კონფიგურაციას შესწევს უნარი ზეგავნება მოახდინოს მომხმარებლის მიერ სიტყვიერი ელემენტების აღქმაზე.	And Flavour Aroma F d l n a a v m o r u A r	კლასი 30: ყავა.

B. ნიშნის გამოსახულებით ელემენტებთან დაკავშირებით

B.1. გეომეტრიული ფიგურების გამოყენება

- აღწერილობითი ან არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვიერი ელემენტების კომბინაცია ისეთ მარტივ გეომეტრიულ ფიგურებთან, როგორიცაა წერტილი, წრფე, მონაკვეთი, წრე, სამკუთხედი, კვადრატი, მართკუთხედი, პარალელოგრამი, ხუთკუთხედი, ექვსკუთხედი,

ტრაპეცია და ელიფსი [გეომეტრიული ფიგურების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი] არ ანიჭებს ნიშანს განმასხვავებლობას განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული ფიგურები ჩარჩოს ან საზღვრის სახით არის გამოყენებული.

- ამის მიზეზი ის არის, რომ გეომეტრიული ფიგურა, რომელიც მხოლოდ ხაზს უსვამს, ამკვეთრებს, ან გარს აკრავს სიტყვირ ელემენტს, არ ახდენს გავლენას ნიშანზე და არ ანიჭებს განმასხვავებლობას.
- მეორეს მხრივ, შესაძლოა გეომეტრიულმა ფიგურებმა მიანიჭონ ნიშანს განმასხვავებლობა, როდესაც მათი გამოსახვა, კონფიგურაცია ან კომბინაცია სხვა ელემენტებთან ერთობლიობაში ქმნის არსებითად განმასხვავებელ საერთო შთაბეჭდილებას.

მაგალითები

არაგანმასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
მარტივი გეომეტრიული ფიგურების მაგალითები, რომლებიც <u>ჩარჩოს ან საზღვრის</u> სახით გამოიყენება, არ არის მისაღები		კლასი 30: ყავა.

განმასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვიერი ელემენტების მარტივ გეომეტრიულ ფიგურებთან ცალკეული კონფიგურაციების ნიმუშები, რომლებიც ნიშანს, მთლიანობაში, დასაშვებს ხდის, იმის გამო, რომ სპეციალური განლაგება, თუ როგორ გადაფარავს სიტყვები მარტივ გეომეტრიულ ფიგურებს, ასევე, სიტყვებთან შედარებით გეომეტრიული ფიგურების ზომა, არ აღიქმება ისე, რომ ეს ელემენტები ხაზს უსვამს, ამკვეთრებს ან გარს აკრავს მას, არამედ იქმნება საკმარისად განსხვავებული საერთო შთაბეჭდილება. ივარაუდება, რომ გამოსახულებითი ელემენტები არ არის შეფუთვის გამოსახულება. *აღწერილობით სიტყვებთან გეომეტრიული ფიგურების იმ ცალკეული კომბინაციების მაგალითები, რომლებიც ნიშანს მთლიანობაში ანიჭებს განმასხვავებლობას.*		კლასი 30: ყავა.

B.2. გამოსახულებითი ელემენტის განლაგება და პროპორცია (ზომა) სიტყვიერ ელემენტთან მიმართებით

- ზოგადად, როდესაც აღწერილობით/არანგანმასხვავებელუნარიან სიტყვიერ ელემენტს დამატებული აქვს განმასხვავებელუნარიანი გამოსახულებითი ელემენტი, ნიშანი რეგისტრირებადია იმ პირობით, თუ გამოსახულებითი ელემენტი მისი ზომის და განლაგების გათვალისწინებით ნიშანში ნათლად აღქმადია.

მაგალითები

არაგანამასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
ასო „i“-ის თავზე არსებული წითელი შტრიხი რთული შესამჩნევია.	Fresh Sardine	კლასი 29: სარდინები.
გამოსახულებითი ელემენტი იმდენად მცირე ზომისაა, რომ არ არის შესამჩნევი	Flavour and aroma	კლასი 30: ყავა.

განმასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
გამოსახულებით ელემენტს აქვს თავის-თავად განმასხვავებლობა და საკმარი-სად დიდია, რომ ნიშანში მთლიანობაში აღქმული იქნას.	Flavour and aroma	კლასი 30: ყავა

B.3. გამოსახულებითი ელემენტი არის საქონლის ან/და მომსახურების გამოსახულება ან მასთან პირდაპირი კავშირი აქვს.

ზოგადი წესის თანახმად, ელემენტების უბრალო კომბინაცია, რომელიც აღწერილობითია განცხადებული საქონლისა და მომსახურებისთვის, ყოველგვარი უჩვეულო ვარიაციების გარეშე, არის აღწერილობითი და არ იძლევა სხვა შედეგს, გარდა იმისა, რომ ასეთი ნიშანი შედგება მხოლოდ ნიშნებისა და აღნიშნებისგან, რომლებიც ვაჭრობაში გამოიყენება საქონლისა და მომსახურების თვისებების მოსანიშნად.

თუმცა, ზემოაღნიშული კომბინაცია შესაძლოა აღწერილობითი არ იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც კომბინაციის შედეგად მიღებული საერთო შთაბეჭდილება მნიშვნელოვნად განსხვავებულია ამ ელემენტების უბრალო კომბინაციით მიღებული შთაბეჭდილებისგან.

შესაბამისად, შედეგი მეტია, ვიდრე ელემენტების უბრალო ჯამი.

- ზოგიერთ შემთხვევაში, გამოსახულებითი ელემენტი შედგება განცხადებული საქონლის და მომსახურების გამოსახულებისაგან. აღნიშნული გამოსახულება მიიჩნევა აღწერილობითად ან/და არაგანმასხვავებელუნარიანად როდესაც:

  - იგი გამოსახავს საქონლის და მომსახურების რეალურ სახეს;
  - იგი შეიცავს საქონლის/მომსახურების სიმბოლურ/სტილიზებულ გამოსახულებას, რომელიც ხსენებული საქონლის და მომსახურების გავრცელებული გამოსახულებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

სხვა შემთხვევებში, გამოსახულებითი ელემენტი შეიძლება არ გამოსახავდეს საქონელს ან მომსახურებას, მაგრამ ჰქონდეს პირდაპირი კავშირი საქონლისა ან/და მომსახურების თვისებებთან. ასეთ შემთხვევებში, ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანად ჩაითვლება, თუ იგი მნიშვნელოვნად არ იქნება სტილიზებული.

მაგალითები

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში, ნიშნები, რომლებიც წარმოადგენს არაგანმასხვავებელ-უნარიანი/აღწერილობითი გამოსახულებითი და არაგანმასხვავებელუნარიანი/აღწერილობითი სიტყვიერი ელემენტის კომბინაციას არ ქმნის განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას, ვიდრე აღნიშნული ელემენტების უბრალო კომბინაცია.

გამოსახულებითი ან/და სიტყვიერი ელემენტი აღწერილობითად იქნება მიჩნეული თუ არაგანმასხვავებელუნარიანად, შედეგი უცვლელი იქნება.

არაგანმასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
აღწერილობით გამოსახულებითი ელე-მენტი + აღწერილობითი სიტყვიერი ელემენტი. გამოსახულებითი ელემენტი შედგება სარდინის სურათისგან და აქედან გამომდინარე, წარმოადგენს საქონლის რეალურ გამოსახულებას. არც შრიფტი (საგაზისო/სტანდარტული), სი-ტყვიერი ელემენტების განლაგება, ნიშნის ზოგადი კომპოზიცია, არც რაიმე სხვა ელემენტი არ ანიჭებს ნიშანს მინიმალურ განმასხვავებლობას.		კლასი 29: სარდინები.

აღწერილობითი გამოსახულებითი ელემენტი + არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვიერი ელემენტი. *გამოსახულებითი ელემენტი წარმოადგენს სარდინის სურათს, და აქედან გამომდინარე, საქონლის რეალურ გამოსახულებას. არც შრიფტი (საგაზისო/ სტანდარტული), სიტყვიერი ელემენტების განლაგება, ნიშნის ზოგადი კომპოზიცია, არც რაიმე სხვა ელემენტი არ ანიჭებს ნიშანს მინიმალურ განმასხვავებლობას.*		კლასი 29: სარდინები.
არაგანმასხვავებელუნარიანი გამოსახულებითი ელემენტი + არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვიერი ელემენტი. *გამოსახულებითი ელემენტი შედგება ტიპიური სარდინის კონსერვის ქილისგან, რომელიც ფართოდ გამოიყენება სარდინების შეფუთვის სახით და, აქედან გამომდინარე, საქონლის სიმბოლურ/სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ საქონლის გავრცელებული გამოსახვის ხერხისგან. არც შრიფტი (საგაზისო/სტანდარტული), სიტყვიერი ელემენტების განლაგება, ნიშნის ზოგადი კომპოზიცია, არც რაიმე სხვა ელემენტი არ ანიჭებს ნიშანს მინიმალურ განმასხვავებლობას.*		კლასი 29: სარდინები.
არაგანმასხვავებელუნარიანი გამოსახულებითი ელემენტი + აღწერილობითი სიტყვიერი ელემენტი. *გამოსახულებითი ელემენტი აჩვენებს ტიპიურ სარდინის კონსერვის ქილას, რომელიც ფართოდ გამოიყენება სარდინების შეფუთვის სახით და, აქედან გამომდინარე, საქონლის სიმბოლურ/სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ საქონლის გავრცელებული გამოსახვის ხერხისგან. არც შრიფტი (საგაზისო/სტანდარტული), სიტყვიერი ელემენტების განლაგება, ნიშნის ზოგადი კომპოზიცია, არც რაიმე სხვა ელემენტი არ ანიჭებს მოცემულ ნიშანს მინიმალურ განმასხვავებლობას.*		კლასი 29: სარდინები.

გამოსახულებითი ელემენტი არ გამოსახავს მომსახურებას, მაგრამ მაინც გააჩნია პირდაპირი კავშირი მომსახურების მახასიათებლებთან. ნიშანი არასაკმარისად სტილიზებულია.	PEST CONTROL SERVICES	კლასი 37: მავნებელთა კონტროლის სამსახური.

განმასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
გამონაკლისი: სპეციალური კომბინაცია/ კომპოზიცია (ერთიანობაში, ორი აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი ელემენტი განმასხვავებელუნარიანია). *ასოების „F“-ის და „I“-ის ნაცვლად სარდინების გამოყენების გზით, მოცემული ნიშანი ქმნის შთაბეჭდილებას, რომელიც გაცილებით განსხვავდება, აღწერილობითი/ არაგანმასხვავებელუნარიანი გამოსახულებითი და სიტყვიერი ელემენტების უბრალო კომბინაციისგან, რაც გაცილებით მეტია ,ვიდრე ამ ელემენტების უბრალო კომბინაცია.*	Fresh Sardine	კლასი 29: სარდინები.
განმასხვავებელუნარიანი გამოსახულებითი ელემენტი + აღწერილობითი სიტყვიერი ელემენტი. გამოსახულებითი ელემენტი შედგება მოსიარულე თევზის ჩონჩხისგან და ამგვარად წარმოადგენს საქონლის სტილიზებულ/სიმბოლურ გამოსახულებას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება აღნიშნული საქონლის გავრცელებული გამოსახულებებისგან.	Fresh Sardine	კლასი 29: სარდინები.
გამოსახულებითი ელემენტი პირდაპირ კავშირშია მომსახურების თვისებასთან. ნიშანი საკმარისად სტილიზებულია.	PEST CONTROL SERVICES	კლასი 37: მავნებელთა კონტროლის სამსახური.

B.4. გამოსახულებითი ელემენტი ვაჭრობაში ჩვეულებრივ გამოიყენება განცხადებული საქონლისა ან/და მომსახურებისთვის

- ზოგადად, გამოსახულებითი ელემენტები, რომლებიც ვაჭრობაში საქონლისა და მომსახურებისთვის ჩვეულებრივ გამოიყენება, არ ანიჭებს ნიშანს განმასხვავებლობას მთლიანობაში.

მაგალითები

არაგანმასხვავებელუნარიანი		
დასაბუთება	**ნიშანი**	**საქონელი/ მომსახურება**
შესაბამისი მომხმარებელი მიხვდება განცხადებული ნიშნის პირდაპირ და აშკარა მინიშნებას ხარისხზე და არა საქონლის წარმომავლობაზე. *გამოსახულებითი ელემენტები არ შეიცავს რაიმე დასამახსოვრებელ, უჩვეულო ან ორიგინალურ დეტალებს და უბრალოდ აღქმული იქნება, როგორც ჩვეულებრივი იარლიყი, რომელსაც საშუალო მომხმარებელი განსხვავებულად არ ჩათვლის.*		კლასი 30: ყავა.
ფასის ფერადი იარლიყები ყველა სახის საქონლით ვაჭრობისას ფართოდ გამოიყენება და აღწერილობით სიტყვიერ ელემენტებთან გამოიყენება, შესაბამისად სასაქონლო ნიშანს განმასხვავებელს ვერ ხდის.		კლასი 29: სარდინები.
ფასის იარლიყები ყველა სახის საქონლით ვაჭრობისას ფართოდ გამოიყენება.		კლასი 30: ყავა.
სამართლიანობის სასწორი იურიდიული საქმიანობის სფეროში ფართოდ გამოიყენება.		კლასი 45: იურიდიული მომსახურება.

C. როგორ ახდენს კრიტერიუმების კომბინაცია გავლენას განმასხვავებლობაზე?

- ზოგადად, გამოსახულებითი და სიტყვიერი ელემენტების კომბინაცია, რომელიც ცალკე აღებული არაგანმასხვავებელუნარიანია, არ ანიჭებს ნიშანს განმასხვა-ვებლობას.

- მიუხედავად ამისა, ასეთი ელემენტების კომბინაცია მთლიანობაში შეიძლება აღქმული იქნას, როგორც [საქონლის] წარმოშობის ნიშანი, ნიშანში მათი გამოსახვის და შემადგენლობის გამო. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც კომბინაციის შედეგად იქმნება ისეთი საერთო შთაბეჭდილება, რომელიც არსებითად არის დაშორებული სიტყვიერი ელემენტის აღწერილობასთან/არაგანმასხვავებელუნარიანობასთან.
  ქვემოთ ცხრილში მოცემულია შერჩეული ნიმუშები, რომლებიც შეიცავს წინამდებარე პრაქტიკული დოკუმენტის წინა განყოფილებებში შეფასებული ინდივიდუალური კრიტერიუმების კომბინაციებს. წითელ სვეტში წარმოდგენილია კომბინაციები, რომლებიც მათი სიმარტივის და/ან ფართო გამოყენების გამო, განსხვავებულად ვერ ჩაითვლება. საპირისპიროდ, მწვანე სვეტში წარმოდგენილი მაგალითები განსხვავებულად ითვლება.

მაგალითები:

იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებადი იყოს, მას უნდა ჰქონდეს მინიმალური განმასხვავებლობა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ნიშნები გრადაციის მიხედვით. მარცხნიდან მარჯვნივ, ნიშნები შეიცავს ელემენტებს, რომელთა გავლენა ნიშნების განმასხვავებლობაზე თანდათან იზრდება, რის შედეგადაც მიიღება ნიშნები, რომლებიც ან მთლიანობაში არაგანმასხვავებელუნარიანია (წითელი სვეტი) ან განმასხვავებელუნარიანი (მწვანე სვეტი) [„Flavour and aroma“-ს შემცველი ნიშნები განცხადებულია 30-ე კლასის საქონლისთვის „ყავა“ და „Fresh Sardine“ განცხადებულია- 29-ე კლასის საქონლისთვის სარდინები.]


არაგანმასხვავებელუნარიანი
განმასხვავებელუნარიანი
Flavour and aroma
Flavour and Aroma
Flavour and aroma
Flavour and Aroma
1.
Flavour and aroma
Flavour and aroma
Flavour and aroma
Fla vour and aroma
Flavour and Aroma
Flavour
and Aroma
2.
Fresh sardine
Fresh sardine
Fresh Sardine
FRESH SARDINE
Fresh Sardine
Fresh sardine
FRESH SARDINE
3.

რიგი 1:

მარცხნიდან მარჯვნივ, პირველ მაგალითში კომბინირებულია საბაზისო/სტან-დარტული შრიფტი გამუქებულად დაწერილ სიტყვასთან და სიტყვიერი ელემენტების განლაგებასთან. შემდეგ მაგალითში წითელი ფერის დამატება შესაძლოა წინ გადადგმული ნაბიჯი იყოს, მაგრამ ასეთი კომბინაცია (სტანდარტული შრიფტი, სიტყვიერი ელემენტების განლაგება და ერთი ფერი) მაინც არ ანიჭებს ნიშანს განმასხვავებლობას. მესამე მაგალითში, ფერების დამატება რაღაც დამატებითს გვაძლევს, მაგრამ მისი გამოსახულება და შემადგენლობა არ ქმნის ზოგად შთაბეჭ-დილებას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავებულია ამ ელემენტების მარტივი კომბინაციისგან მიღებული შთაბეჭდილებისგან; გარდა ამისა, მომხმარებლებს არ შეუძლიათ ზედმეტად ბევრი ფერის და მათი მიმდევრობის დამახსოვრება. მეოთხე მაგალითში მოცემულია საბაზისო/სტანდარტული შრიფტის, სიტყვიერი ელემენ-ტების განლაგების/ზომის და ორი ფერის კომბინაცია, რაც მაინც არაგანმასხვავე-ბელუნარიანია.

მარჯვენა მხარეს ორ განმასხვავებელუნარიან მაგალითში გამოსახულებითი ელემენ-ტების კომბინაცია, მთლიანობაში აღიქმება, როგორც წარმოშობის აღნიშვნა, ნიშნის წარმოჩენის და შემადგენლობის გამო, რითაც იქმნება ვიზუალური შთაბეჭდილება, რომელიც არსებითად განსხვავებულია სიტყვიერი ელემენტების მიერ გადმოცემული აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი შეტყობინებისგან.

რიგი 2:

მარცხნიდან მარჯვნივ, პირველ ორ მაგალითში მარტივი გეომეტრიული ფიგურები ჩარჩოებად არის გამოყენებული საბაზისო/სტანდარტულ შრიფტთან კომბინაციაში, ხოლო მათ მოჰყვებათ წრეში ჩაწერილი საბაზისო/სტანდარტული შრიფტი, სიტყვი-ერი ელემენტების განლაგებასთან და ფერთან კომბინაციაში. მომდევნო მაგალითში კომბინირებულია საბაზისო/სტანდარტული შრიფტით შესრულებული სიტყვიერი ელემენტი და დახრილი მართკუთხედი და ფერი. მოცემული სამი მაგალითიდან არც ერთი არ ქმნის ვიზუალურ შთაბეჭდილებას, რომელიც არსებითად განსხვავებულია ამ ელემენტების უბრალო კომბინაციისგან.

მარჯვენა სვეტში ფიგურების არაშემთხვევითი კომბინაციები ფერთან და სიტყვიერი ელემენტების განლაგებასთან ერთობლიობაში, ქმნის ვიზუალურ შთაბეჭდილებას, რომელიც არსებითად განსხვავებულია სიტყვიერი ელემენტების მიერ გადმოცემული აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი მესიჯისგან, რის საფუძველზეც ნიშანი, მთლიანობაში აღიქმება, როგორც წარმოშობის აღნიშვნა მისი გამოსახულების და შემადგენლობის გამო.

<u>რიგი 3:</u>

მარცხნიდან მარჯვნივ, მაგალითების ეს ნაკრები იწყება საქონლის რეალური გრაფიკული გამოსახულებით, რომელიც კომბინირებულია ორ საბაზისო შრიფტსა და ფონტის ეფექტებთან, რომელსაც მოყვება სიტყვიერი ელემენტების განლაგება და ფერი, ხოლო კომბინაციისთვის შემდგომი დამატებაა გეომეტრიული ფიგურა, ხოლო ბოლო ნიმუშში გვაქვს უმნიშვნელოდ სტილიზებული შრიფტი, მაგრამ მთლიანობაში, მაინც ჩვეულებრივი რჩება. არც ერთი მაგალითი არ ქმნის ვიზუალურ შთაბეჭდილებას, რომელიც არსებითად განსხვავებულია სიტყვიერი ელემენტების მიერ გადმოცემული აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი შეტყობინებისგან. შედეგად, ეს ნიშნები არ ჩაითვლება წარმოშობის ნიშნად.

ხაზის მარჯვენა მხარეს, ნიშნების გამოსახულება და შემადგენლობა, ხოლო უკიდურეს მარჯვენა მხარეს შესამჩნევი გამოსახულებითი ელემენტების არსებობა, რომელიც თავისთავად განმასხვავებელუნარიანია, ანიჭებს ნიშნებს მინიმალურ განმასხვავებლობას.

პრაქტიკის დოკუმენტი.